

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის**  
**ფინანსური მდგომარეობა**

| <b>ფინანსური მდგომარეობა</b>                                                                  | <b>31.12.2023</b> | <b>31/12/2022</b> | <b>31/12/2021</b> |
|-----------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                         | 439493            | 238780            | 518377            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                    | 698410            | 422626            | 296069            |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                   |                   | 0                 | 1327              |
| მარაგები                                                                                      | 623590            | 701265            | 447120            |
| მზა პროდუქცია                                                                                 | 623590            | 701265            | 447120            |
| სხვა                                                                                          | 0                 | 0                 | 0                 |
| საინვესტიციო ქონება                                                                           | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                    | 550               | 1124              | 3192              |
| ბიოლოგიური აქტივები                                                                           | 296249            | 239765            | 180561            |
| თვითღირებულების მოდელით                                                                       | 296249            | 239765            | 180561            |
| გადაფასების მოდელით                                                                           | 0                 | 0                 | 0                 |
| გულვილი                                                                                       | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                  | 642               | 2234              | 4148              |
| ძირითადი საშუალებები                                                                          | 692192            | 629823            | 175772            |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში                                           | 148425            | 148425            | 148425            |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                                    | 225448            | 173510            | 108651            |
| სულ აქტივები                                                                                  | 3124999           | 2557552           | 1883642           |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                          |                   |                   |                   |
| საიჯარო ვალდებულება                                                                           |                   | 0                 | 94845             |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                         | 122461            | 112531            | 0                 |
| ანარიცხები                                                                                    | 0                 | 0                 | 0                 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                            | 0                 | 0                 | 0                 |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                    | 36925             | 13123             | 36255             |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                                                    | 0                 | 0                 | 0                 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                               | 768436            | 308276            | 181329            |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                               | 0                 | 0                 | 0                 |
| მიღებული გრანტები                                                                             | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა ვალდებულებები                                                                            | 15942             | 55533             | 323               |
| სულ ვალდებულებები                                                                             | 943764            | 489463            | 312752            |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                      |                   |                   |                   |
| სააქციო კაპიტალი (მზ-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'სააქციო კაპიტალი') | 170354            | 170354            | 170354            |
| საემისიო შემოსავალი                                                                           | 0                 | 0                 | 0                 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                  | 0                 | 0                 | 0                 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                     | 1765433           | 1724225           | 1291885           |
| გადაფასების რეზერვი                                                                           | 0                 | 0                 | 0                 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                          | 225448            | 173510            | 108651            |
| სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი                              | 2181235           | 2068089           | 1570890           |
| არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)                             |                   | 0                 | 0                 |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                         | 2181235           | 2068089           | 1570890           |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                        | 3124999           | 2557552           | 1883642           |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                     | 1762043           | 1702760           | 1446646           |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                                | 963764            | 829238            | 312752            |

**საქმიანობის შედეგები**

| <b>საქმიანობის შედეგები</b>              | <b>31.12.2023</b> | <b>31/12/2022</b> |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ნეტო ამონაგები                           | 5197648           | 7503895           |
| საქონლის გაყიდვიდან                      | 5197267           | 7503895           |
| მომსახურების გაწვიდან                    |                   | 0                 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან             |                   | 0                 |
| სხვა                                     | 381               | 0                 |
| გაყიდვების თვითღირებულება                | -4480064          | -6411932          |
| საწყისი მარაგები                         |                   | 0                 |
| მარაგების შესყიდვა                       |                   | 0                 |
| გადამუშავების დანახარჯები                |                   | 0                 |
| საბოლოო მარაგები                         |                   | 0                 |
| საერთო მოგება                            | 717584            | 1091963           |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი               | 0                 | 0                 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | -328039           | -307621           |
| ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი                | -19791            | -21456            |
| საპროცენტო შემოსავალი                    | 0                 | 0                 |
| საპროცენტო ხარჯი                         | -41472            | -12630            |
| იჯარის ხარჯი                             | -37500            | -18563            |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -149132           | -145103           |
| სულ საოპერაციო ხარჯები                   | -575934           | -505373           |
| საოპერაციო მოგება                        | 141650            | 586590            |

**გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:**

|                                                                              |        |        |
|------------------------------------------------------------------------------|--------|--------|
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                           | 0      |        |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                     | 0      |        |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                   | 0      |        |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრ | 0      |        |
| მიღებული დივიდენდები                                                         | 0      |        |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                      | -36904 | -56952 |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაცი           | 104746 | 529638 |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                    | -19293 | -5310  |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                       | 85453  | 524328 |

**სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):**

|                                                                   |   |   |
|-------------------------------------------------------------------|---|---|
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასებ | 0 | 0 |
|-------------------------------------------------------------------|---|---|

|                                                                                                                       |         |         |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------|---------|
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მკავშირე საწარმოების უძრავი ქონება)                                                 | 0       | 0       |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                                                                | 0       | 0       |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                   | 85453   | 524328  |
| <b>მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:</b>                                                                                 |         |         |
| მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიელი მოგება (ზარალი)                                                          | 85453   | 524328  |
| არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნიელი მოგება (ზარალი)                                                                | 0       | 0       |
| მოგება / (ზარალი)                                                                                                     | 85453   | 524328  |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:</b>                                                               |         |         |
| მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიელი მთლიანი შემოსავალი                                                       | 85453   | 524328  |
| არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნიელი მთლიანი შემოსავალი                                                             |         | 0       |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                   | 85453   | 524328  |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                                                   | 2068089 | 1570890 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კომპერ განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | 0       | 0       |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                                 | -47368  | -85270  |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                                             | 3123    | -6718   |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                                                        | 51938   | 64859   |
|                                                                                                                       | 2181235 | 2068089 |



## შინაარსი:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
  2. სრული შემოსავლის ანგარიშგება
  3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
  5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები
- კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგების გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები
- 1. ზოგადი ინფორმაცია**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს ჯიტეკის და შპს ნუშის წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, საწარმოს წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს ჯიტეკის (შემდგომში სათავე საწარმო) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სახით. საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

შპს ნუში (შემდგომში „საწარმო“) წარმოადგენს შეზღუდული პირის საზოგადოებას, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში 2016 წლის 17 ნოემბრიდან და შპს ჯიტეკის მიერ შექმნილია 28.03.2019წ. (ს.ნ-404523351) და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, შესახვევი ლარსი , N 3,სართული 9,ბინა N41, ფაქტობრივი: მარნეული,სოფ.კაჩაგანი .საწარმოო საქმიანობას წარმოადგენს ნუშის მოყვანა და მისი შემდგომი რეალიზაცია.დღეის მდგომარეობით არ არის სმოიარობამდე მისული.

შპს ჯიტეკი საქართველოში რეგისტრაციის დღიდან ეწევა საქონლის იმპორტ-ექსპორტის ოპერაციებს. ასევე საქონლის ადგილზე შექმნას და რეალიზაციას საბითუმოდ და საცალოდ.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეულ სააღრიცხვო შეფასებებსა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წლებში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.** ვერ დგინდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებულ ბაზარზე დაყრდნობით, ისინი დგინდება შეფასების სხვადასხვა ტექნიკით და მსჯელობით.
- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ ამორტიზაციის დარიცხვისას სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელების შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას.
- **გადასახადები** კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს საგადასახადო შემოწმებისა შესაძლო ჯარიმებისა და საურავების დარიცხვის რისკები, თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული გაანგარიშებები ადეკვატურია ყველა არაუადირებული წლისათვის, მაგრამ საგადასახადო კანონმდებლობის ცალკეული მუხლების ინტერპრეტაციამ შესაძლოა გამოიწვიოს საგადასახადო შემოწმებისა გარკვეული დამატებითი საგადასახადო ვალდებულება
- **სასამართლო დავები.** კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მხოლოდ მიმდინარე ვალდებულება ან მოთხოვნა წარმომადგენელი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, როცა მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გადაცემის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი. ისეთ შემთხვევაში, როცა ეს კრიტერიუმები არ ემყარება, პირობითი ვალდებულება შესაძლოა აისახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის კომპანია განიხილავს არსებულ სასამართლო საქმეებს იმ მიზნით, რომ შეაფასოს ფინანსურ ანგარიშგებაში გასათვალისწინებელი აუცილებელი გარემოებები და პოტენციური მოსალოდნელი ზარალის ოდენობა, რისთვისაც ხელმძღვანელობა განიხილავს იურიდიული მრჩეველების მოსაზრებებსა და შეხედულებებს, რომელიც ეფუძნება ამგავრ საქმეების წარმოების გამოცდილებასა და კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილება დავაზე, საჩივარსა და გარჩევაზე რეაგირების შესახებ.

## 3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოხდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საშუალო (ბასს) მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. გასულ პერიოდებში კომპანია არ წარადგენდა ფინანსურ ანგარიშგებას ფას-ების მიხედვით. ფასებზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2017 წლის 01 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მენილერებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია და შესაბამისად აფასებენ, რომ კომპანიას როგორც ფუნქციონირებად საწარმოს აქვს საქმიანობის გაგრძელების უნარი.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

#### შეფასების ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში („ლარი“)

#### ფუნქციონირებადი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე, კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანსაქციის განხორციელების დღისათვის, ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს გადაფასება არ ეხება არაფულად აქტივებს, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და რომელიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                                   | აშშ დოლარი | ევრო   |
|-----------------------------------|------------|--------|
| კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის | 2,7020     | 2,8844 |
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის | 2,6894     | 2,9753 |

#### ფინანსური ინსტრუმენტები

**თავდაპირველი აღიარება** საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე მხარე.

**აქტივების თვითღირებულება** არის აქტივების შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალურ ღირებულების თანხა

**ამორტიზებული ღირებულება** არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარებისას ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხების გამოკლებით ,

მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ. საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

#### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე. შეუძლია ამ
- არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს.

კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გამო.

#### ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება იფარება, უქმდება ან ვადა გასდის.

კომპანია დაფარულ ან სხვა მხარისათვის გადაცემულ ფინანსურ ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების ჩათვლით) სხვაობას ასახავს მოგება-ზარალში,

#### გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადარფარული და ნეტო თანხითა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება , რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის გაზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

#### ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე

#### საეჭრო და სხვა მოთხოვნები

საეჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსულობების ღირებულების მიხედვით, საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით. მოთხოვნების წმინდა ღირებულებით ასახვისათვის ტარდება მოთხოვნების ანალიზი მათი წარმოშობის ვადების მიხედვით და ერიცხება საექვო ვალების რეზერვი.

მოვალეობის უმრავლესობაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ საიმედო ინფორმაციის არსებობისა და კომპანიის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, სავარაუდო ზარალის შეფასება არსებითად განსხვავებული არ იქნება შემდგომში რეალური მოცულობისგან.

#### ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოშობის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს მთელ რიგ ფაქტორებს, კერძოდ

- აქტივის დატვირთვა, მწარმოებლურობა,
- ფიზიკური ცვეთა, ტექნიკურ და კომერციულ მოხვედრა, აქტივის გამოყენების შეზღუდვა.

საწარმო პერიოდულად ახდენს ზემოთ მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მომსახურების ვადის ცვლილებას

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

| <b>ჯგუფი</b>                   | <b>სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)</b> |
|--------------------------------|--------------------------------------------|
| კომპიუტერები და სხვა ინვენტარი | 5                                          |
| სატრანსპორტო საშუალებები       | 5                                          |
| სხვა ძირითადი საშუალებები      | 3                                          |

შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან ანაზღაურებად ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

| <b>ჯგუფი</b>        | <b>არამატერიალური აქტივები</b> | <b>სასარგებლო მომსახურების ვადა</b> |
|---------------------|--------------------------------|-------------------------------------|
| საბუღალტრო პროგრამა |                                | 5                                   |

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

#### მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უნცირესი თანხით, პროდუქციის დასრულებისა და

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მიცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგების ჩამოწრა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით

#### დაბეგრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

#### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

საწარმოს ვალდებულება არის მისი მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განთავსებული რესურსების გასვლა საწარმოდან. სავაჭრო ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, შემდგომ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

#### საპენსიო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებითი აღრიცხვას.

#### საკუთარი კაპიტალი

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმს კომპანიის მიერ აღირიცხება როგორც საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

#### ამონაგები

**საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება**, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონელის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინსაწარმ შეთანხმებულ სარგებელს. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება.

**მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება** ხდება მაშინ, როცა მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება არის

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

**ხარჯების აღიარება**

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომლის არ არის დაკავშირებული მის ძირითად საქმიანობასთან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის ღირებულების მოთხოვნის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

**ოჯარა**

საოპერაციო ოჯარის დროს საოჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით, ოჯარის ვადის განმავლობაში.

ოჯარის ვადა არის კონტრაქტით გათვალისწინებული ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გათვალისწინებულია აქტივის ოჯარა, დამატებული ნებისმიერი ისეთი შემდგომი პერიოდი, რომლისთვისაც , მეოჯარეს აქვს შესაძლებლობა , რომ ოჯარა გააგრძელოს და ოჯარის დასაწყისისათვის არსებობს რწმუნება იმისა რომ მეოჯარის მიერ ეს უფლება იქნება გამოყენებული.

**თანამშრომელთა ხარჯები და მასთან დაკავშირებული შენატანები**

ხელფასი, ბონუსები, დარიცხულია წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას, ხოლო ანაზღაურებადი შვებულებები, მათი ფაქტიური სარგებლობის დროს.

ვინაიდან საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება არ ნაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

**ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები**

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

**შენიშვნა 1**

(ლარი)

| ამონაგები               | ნაშთი<br>31.12.2023 | ნაშთი<br>31.12.2022 |
|-------------------------|---------------------|---------------------|
| დასახელება              |                     |                     |
| ამონაგები რეალიზაციიდან | 5 197 267           | 7 503 895           |
| საკურსო სხვაობიდან      | -                   | -                   |
| სხვა                    | 381                 |                     |
| ამონაგები მიწოდებიდან   | 5 197 648           | 7 503 895           |

**შენიშვნა 2**

(ლარი)

| შეძენილი მომსახურების ხარჯები    | ნაშთი<br>31.12.2023 | ნაშთი<br>31.12.2022 |
|----------------------------------|---------------------|---------------------|
| დასახელება                       |                     |                     |
| ელენერგიის ხარჯი                 | 2 434               | 7 350               |
| საიჯარო ხარჯი                    | 37 500              | 18 563              |
| კომუნალური ხარჯი                 | 2 711               | 2 392               |
| კომუნიკაციის ხარჯი               | 5 285               | 4 509               |
| საკურსო ხარჯი                    | 36 904              | 73 747              |
| საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი | 2 995               |                     |
| საპროცენტო ხარჯი                 | 41 472              | 12 630              |
| შრომის ანაზღაურების ხარჯი        | 328 039             | 307 621             |
| სხვა ხარჯები                     | 154 854             | 130 852             |
| ჯამი:                            | 612 194             | 557 664             |

**შენიშვნა 3**

(ლარი)

| პერიოდის გაუნაწილებელი მოგება-ზარალი            | ნაშთი<br>31.12.2023 | ნაშთი<br>31.12.2022 |
|-------------------------------------------------|---------------------|---------------------|
| დასახელება                                      |                     |                     |
| გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის დასაწყისში     | 1 724 225           | 1 291 885           |
| ცვლილება წინა პერიოდის შემოსავლებში და ხარჯებში | 44 245              | 91 988              |
| მიმდინარე წლის მოგება-ზარალი                    | 85 453              | 524 328             |
| გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის ბოლოს          | 1 765 433           | 1 724 225           |

შენიშვნა 4

ფულადი სახსრები

| დასახელება                      | 31.12.2023     | 31.12.2022     |
|---------------------------------|----------------|----------------|
| ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი   | 397 383        | 211 975        |
| ფული საბანკო ანგარიშზე - ვალუტა | 34 777         | 24 909         |
| ფული საღარიბოში                 | 7 333          | 1 896          |
| <b>ჯამი:</b>                    | <b>439 493</b> | <b>238 780</b> |

შენიშვნა 5

საგაქრო და სხვა მოთხოვნები

| დასახელება                         | 31.12.2023     | 31.12.2022     |
|------------------------------------|----------------|----------------|
| საგაქრო და სხვა მოთხოვნები         | 698 410        | 422 626        |
| წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება | 550            | 1 124          |
| სხვა მოთხოვნები                    |                |                |
| <b>ჯამი:</b>                       | <b>698 960</b> | <b>423 750</b> |

შენიშვნა 6

საგადასახადო მოთხოვნები

| დასახელება         | 31.12.2023    | 31.12.2022 |
|--------------------|---------------|------------|
| დღგ                | 36 925        | -          |
| ქონების გადასახადი |               | -          |
| <b>ჯამი:</b>       | <b>36 925</b> | <b>-</b>   |

შენიშვნა 7

სასაქონლო მატერიალური ფასეულობა

| დასახელება                    | 31.12.2023 | 31.12.2022 |
|-------------------------------|------------|------------|
| მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში | 701 265    | 447 120    |
| მარაგის ნაშთი წლის ბოლოს      | 623 590    | 701 265    |

შენიშვნა 8

ძირითადი საშუალებები

| დასახელება                           | მიწა   | დაუდგმელი<br>მოცინალობა | დანადგარი | ოფისის<br>ავეჯუტაობა | ა/მ     | ავტო და<br>სხვა<br>ტექნიკა | ოფისის<br>კომპიუტერული<br>ტექნიკა | კომპიუტერული<br>ტექნიკა | სულ     |
|--------------------------------------|--------|-------------------------|-----------|----------------------|---------|----------------------------|-----------------------------------|-------------------------|---------|
| <b>საწესი (ისტორიული) ღირებულება</b> |        |                         |           |                      |         |                            |                                   |                         |         |
| ნაშთი: 31.12.2020                    | 101394 |                         | 21496     | 699                  | 18950   | 15746                      | 3547                              | 31993                   | 92431   |
| აქტივების შეძენა                     | 471575 |                         | 4525      | 1722                 | 33677   | 13699                      |                                   | 5925                    | 59548   |
| აქტივების გასვლა                     |        |                         |           |                      | 18150   |                            |                                   |                         | 18150   |
| ნაშთი: 31.12.2021                    | 572969 |                         | 26021     | 2421                 | 34477   | 29445                      | 3547                              | 37918                   | 133829  |
| აქტივების შეძენა                     |        |                         | 2650      |                      |         |                            | 972                               |                         | 3622    |
| აქტივების გასვლა                     |        |                         |           |                      |         | 3387                       |                                   |                         | 3387    |
| ნაშთი: 31.12.2022                    | 572969 |                         | 28671     | 2421                 | 34477   | 26058                      | 4519                              | 37918                   | 134064  |
| აქტივების შეძენა                     |        |                         | 32689     | 4762                 |         |                            | 38836                             | 14903                   | 91190   |
| აქტივების გასვლა                     |        |                         | 20096     |                      |         | 6985                       |                                   |                         | 27081   |
| ნაშთი: 31.12.2023                    | 572969 |                         | 41264     | 7183                 | 34477   | 19073                      | 43355                             | 52821                   | 198173  |
| <b>აღმართული<br/>ცვეთა</b>           |        |                         |           |                      |         |                            |                                   |                         |         |
| ნაშთი: 31.12.2020                    |        |                         | 15709     | 94,9                 | 14005   | 11320                      | 1500                              | 16589                   | 59217,9 |
| ცვეთის დარიცხვა                      |        |                         | 5204      | №<br>xx              | №<br>xx | 3479                       |                                   | 2750                    | 16265   |
| ცვეთის ჩამოწერა                      |        |                         |           |                      | №<br>xx |                            |                                   |                         | 16032   |
| ნაშთი: 31.12.2021                    |        |                         | 20913     | №<br>xx              | №<br>xx | 14477                      | 1500                              | 19339                   | 59128,9 |
| ცვეთის დარიცხვა                      |        |                         | 2643      | №<br>xx              | №<br>xx | 4168                       | 83                                | 4022                    | 18081,1 |
| ცვეთის ჩამოწერა                      |        |                         |           |                      |         |                            |                                   |                         | 0       |
| ნაშთი: 31.12.2022                    |        |                         | 23556     | 560                  | 9505    | 18645                      | 1583                              | 23361                   | 77210   |
| ცვეთის დარიცხვა                      |        |                         | 3369      | 2328                 | 6895    | 122                        | 2105                              | 10751                   | 25570   |
| ცვეთის ჩამოწერა                      |        |                         | 20096     |                      |         | 3734                       |                                   |                         | 23830   |
| ნაშთი: 31.12.2023                    |        |                         | 6829      | 2888                 | 16400   | 15033                      | 3688                              | 34112                   | 78950   |
| <b>საბალანსო ღირებულება</b>          |        |                         |           |                      |         |                            |                                   |                         | 0       |
| სნდ-31.12.2020                       |        |                         | 5787      | 604,1                | 4945    | 4426                       | 2047                              | 15404                   | 33213,1 |
| სნდ-31.12.2021                       |        |                         | 5108      | 2131,1               | 31867   | 14968                      | 2047                              | 18579                   | 74700,1 |
| სნდ-31.12.2022                       |        |                         | 5115      | 1861                 | 24972   | 7413                       | 2936                              | 14557                   | 56854   |
| სნდ-31.12.2023                       |        |                         | 34435     | 4295                 | 18077   | 4040                       | 39667                             | 18709                   | 119223  |

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

შენიშვნა 9

არამატერიალური აქტივები

| აქტივის დასახელება        | ნაშთი        | შემოსვლა        | გასვლა          | ნაშთი        |
|---------------------------|--------------|-----------------|-----------------|--------------|
| <b>შეძენის ღირებულება</b> |              |                 |                 |              |
| საშუალო. პროგ. „ბალანსი“  | 8503         | 0               | 0               | 8503         |
| სხვა არამატერიალური       | 3574         | 0               | 0               | 3574         |
| <b>ჯამი</b>               | <b>12077</b> | <b>0</b>        | <b>0</b>        | <b>12077</b> |
| <b>ამორტიზაცია</b>        | <b>ნაშთი</b> | <b>დარიცხვა</b> | <b>ჩამოწერა</b> | <b>ნაშთი</b> |

|                             |  |             |      |          |              |
|-----------------------------|--|-------------|------|----------|--------------|
| საბუღ. კრიგ. „ბალანსი“      |  | 6269        | 1592 | 0        | 7861         |
| სხვა არამატაქტივი           |  | 3574        |      | 0        | 3574         |
| <b>ჯამი</b>                 |  | <b>9843</b> |      | <b>0</b> | <b>11435</b> |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> |  | <b>2234</b> |      | <b>0</b> | <b>642</b>   |

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

#### შენიშვნა 10

#### საგაჭრო და სხვა ვალდებულებები


| დასახელება            | ნაშთი<br>31.12.2023 | ნაშთი<br>31.12.2022 |
|-----------------------|---------------------|---------------------|
| საგაჭრო ვალდებულებები | 122 461             | 112 531             |
| <b>ჯამი:</b>          | <b>122 461</b>      | <b>112 531</b>      |

#### შენიშვნა 11

#### გრძელვადიანი სესხი

| დასახელება                  | 31.12.2023    | 31.12.2022     |
|-----------------------------|---------------|----------------|
| ტერა ბანკი-საკრედიტო ხაზი   | 688 932       | 63 268         |
| ხაზის ბანკი                 | -             | 7 282          |
| <b>დამფუძნებლების სესხი</b> | <b>79 504</b> | <b>237 726</b> |

დირექტორი



გ.ყიფიანი